თსუ
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
აკადემიურ საბჭოს

ღრმად პატივცემული საბჭოს ღრმად პატივცემულო წევრებო, იმ იმედით, რომ ყურადღებით მოეკიდებით ბ. ჩიქვინიძის, ლ. აბზიანიძის და ა. მასხარაშვილის უკვე მიმდინარე სამაგისტრო სწავლების პრობლემებს, მოგმართავთ ამ მომართვითა და მასზე თანრთული საკმაოდ ვრცელი მინაწერით.

ამასთან, გთხოვთ 16 თებერვალს დანიშნულ საბჭოს სხდომაზე მოგვცეთ 5 წუთიანი განცხადების გაკეთების საშუალება: ეს იმ მიზნით, რომ უკვე 16 თებერვლიდანვე დაიწყოს მომართვით წამოჭრილი პრობლემატური საკითხების დროული გადაწყვეტისთვის აუცილებელი საფაკულტეტო ქმედებები.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ამ 5 წუთიანი განცხადების გაკეთების საშუალება არ მოგვეცემა, გთხოვთ, 16 თებერვლის საბჭოს სხდომაზევე საბჭოს მდივანს (ან ვინმე სხვას!) დაევალოს ჩვენთან ინტენსიური თანამშრომლობის პირობებში პრობლემატური საკითხების შესწავლა და ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან უშუალო კავშირში მყოფი ამ საკითხების საბოლოო გადაწყვეტის მიზნით ა/წ 26 თებერვლამდე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის რიგგარეშე აკადემიური საბჭო-სემინარის ორგანიზება.

ამასთან, საბჭოს მდივანთან თხოვნით, რომ მან საბჭოს წევრებთან ელექტრონული პოსტით დააგზავნოს, ჩვენ დავტოვებთ სრულ ელექტრონულ ვერსიას წიგნისა სათაურით "Languages in Globalising World". – ეს წიგნი გასაგებს ხდის იმას თუ ევროკავშირის მიერ რატომ იქნა გამოცხადებული მიმდინარე საუკუნის პირველი წელი ევროპული ენების წლად.

ქართული ენისა და ამავე მიზნით ამ შემთხვევაში
საკუთარი უფლებების დამცველნიც

/ლ. აბზიანიძე/

/ა. მასხარაშვილი/

/ბ. ჩიქვინიძე/

და

/კ. ფხაკაძე/

მინაწერი: 2008 წელს მათემატიკის მიმართულებით სამაგისტრო გამოცდები ბარდებოდა ცალკე **მათემატიკის** და ცალკე **გამოყენებითი მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამებზე.

ჩვენ (ბ. ჩიქვინიძე, ლ. აბზიანიძე, ა. მასხარაშვილი) ჩვენი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ **მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამივემ მისაღები გამოცდები მაღალი ქულებით ჩავაბარეთ, ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში იქმნებოდა საშიშროება იმისა, რომ სახელმწიფო დაფინანსება ჩვენგან მხოლოდ ერთს მიეღო.

ამით იყო განპირობებული თსუ რექტორისადმი გაკეთებული ჩვენი 2008 წლის 22 სექტემბრის მიმართვა:

(ციტატის დასაწყისი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას

ბატონო რექტორო, მოგმართავთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2008 წლის ფრიადოსანი კურსდამთავრებული სტუდენტები: ალექსანდრე მასხარაშვილი, ლაშა აბზიანიძე და ბესიკ ჩიქვინიძე.

ჩვენი არჩევანი, რომ გაგვეგრძელებინა სამაგისტრო სწავლება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამით, განისაზღვრა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების აუცილებლობით, რაც, თავის მხრივ, ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით არის განპირობებული. ამ საკითხებისადმი ჩვენი ამგვარი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება თავის დროზე თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით დაფუძნებული „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის” სპეციალიზაციის არჩევით დადასტურდა. ამითვე იყო განპირობებული მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენის მიზნით ჩვენი თქვენთვის კარგად ცნობილი უშედეგო მცდელობები.

შეზღუდული არჩევანის პირობებში და ჩვენი ზემოაღნიშნული მიზნების შენარჩუნებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გადავწყვიტეთ სამაგისტრო საფეხურის სწავლების გაგრძელება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამით.

ბატონო რექტორო, დღეს არსებული საუნივერსიტეტო წესებით ზოგადად უნივერსიტეტში და მათ შორის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მაგისტრანტთა 10% ფინანსდება, რაც მათემატიკის მიმართულებით მხოლოდ ერთ უფასო ადგილს უშვებს. ასეთ შემთხვევაში, თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენი სამაგისტრო სწავლება განვითარდეს სახელმწიფო დაფინანსების პირობებში, გამორიცხულია.

ამგვარი ვითარება, ანუ ვითარება როდესაც წარჩინებული სტუდენტები, იმის ნაცვლად რომ სახელმწიფომ მისივე ინტერესების გათვალისწინებით მიზნობრივად გაიღოს მათზე დაფინანსება, ამ დაფინანსების მოსაპოვებლად ერთმანეთის კონკურენტები ხდებიან, ცხადია, დამანგრეველად იმოქმედებს და სრულიად არასწორი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებაა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი და აუცილებელი სამეცნიერო პროცესებისადმი.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ, რომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით, მიიღოთ შესაბამისი საუნივერსიტეტო ზომები ამ არასწორი დამოკიდებულებების დაუყოვნებლივი გასწორების მიმართულებით, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ქვეყანა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელი ადგილობრივი კადრების არ არსებობის საფრთხის წინაშე დგება – გასაგებია, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი პრობლემის გადაწყვეტას არ ვითხოვთ.

პატივისცემით,
თსუ მაგისტრანტები

/ლ. აბზიანიძე/
/ა. მასხარაშვილი/
/ბ. ჩიქვინიძე/

22.09.08

(ციტატის დასასრული)

რექტორმა ეს მიმართვა სარეაგიროდ გადააგზავნა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ამას შედეგად მოყვა ის, რომ ჩვენ სამივენი სახელმწიფო საფაკულტეტო დაფინანსების ქვეშ მოვექეცით, რაც, ბუნებრივია, უნივერსიტეტის მხრიდან ჩვენი ზემოციტირებული მიმართვით გაცხადებული სასწავლო მიზნების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო.

თუმცა, მოხდა ისე, რომ ჩვენ კვლავ ჩვენი ამ ზემოგაცხადებული უმნიშვნელოვანესი სასწავლო მიზნების ვერგანხორციელების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით:

საქმე ისაა, რომ მათემატიკის მიმართულებით დღეს ნაცვლად ორი – **მათემატიკის** და **გამოყენებითი მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამებისა ფუნქციონირებს მათი გაერთიანებით მიღებული ერთი – **მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა ორი – როგორც **მათემატიკის**, ასევე **გამოყენებითი მათემატიკის** სამაგისტრო ხარისხი.

ამ გართულებულმა ვითარებამ ბუნებრივად წარმოქმნა დამატებითი შეზღუდვები **მათემატიკის**, ანუ **ჩვენი** სამაგისტრო პროგრამის გასწვრივ საწარმოებელ სწავლებაში.

ამასთან დაკავშირებით 2009 წლის 3 თებერვალს ჩვენ შემდეგით მივმართეთ **მათემატიკის და გამოყენებითი მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს:

(ციტატის დასაწყისი)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
მათემატიკის და გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს
უ. გოგინავას, დ. გორდეზიანს, თ. ვაშაყმაძეს, თ. თადუმაძეს, ე. ნადარაიას, რ. ომანაძეს,
რ. ბოჭორიშვილს, გ. ჯაიანს

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვართ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტები, გთხოვთ მოგვცეთ საშუალება სამაგისტრო სწავლების მეორე სემესტრში ორივე არჩევითი კურსი ავირჩიოთ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაში არსებული არჩევითი კურსების სრული ჩამონათვალიდან (შეგახსენებთ, მეორე სემესტრში დღეს არსებული მათემატიკის და გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამების გაერთიანების შედეგად მიღებული სამაგისტრო პროგრამის განაწერში ორი არჩევითი კურსიდან ერთი არჩევითი კურსი კომპლექტდება გამოყენებითი მათემატიკის პროგრამის არჩევითი კურსებიდან).

პატივისცემით მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტები

/ ბ. ჩიქვინიძე /
/ ლ. აბზიანიძე /
/ ა. მასხარაშვილი /
3 თებერვალი, 2009 წელი

(ციტატის დასასრული)

გარდა ამისა, საფრთხის ქვეშაა აგრეთვე მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩვენი (ლ. აბზიანიძე, ს. მასხარაშვილი) სამაგისტრო თემების ოფიციალურად დამტკიცების საკითხიც, რასთან დაკავშირებითაც 2008 წლის 3 დეკემბერს პარალელური მიმართვები გავაკეთეთ თსუ რექტორისა და თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების მისამართით:

(ციტატის დასაწყისი)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის
ხელმძღვანელებს, სრულ პროფესორებს
უ. გოგინავას, დ. გორდეზიანს, თ. ვაშაყმაძეს, თ. თადუმაძეს, ე. ნადარაიას, რ. ომანაძეს

ბ-ნებო, გთხოვთ მხარდაჭერას ჩვენი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნების განხორციელებაში: ანუ, გთხოვთ მხარდაჭერას იმაში, რომ:

1. უკვე მიმდინარე სემესტრში ოფიციალურად დაგვიმტკიცდეს ჩვენს მიერ უკვე არჩეული სამაგისტრო თემები. ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ ბ-ნ კ. ფხაკაძესთან უწყვეტად მიმდინარე

არაფორმალური სასემინარო თანამშრომლობის შედეგად ჩვენ უკვე ავირჩიეთ ჩვენ-ჩვენი სამაგისტრო თემები (ესენია: **ქართული ზმნის მათემატიკური ანალიზი და წერით ენაში ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის სასაფუძვლო რეალიზაციები (I), ქართული ზმნის მათემატიკური ანალიზი და წერით ენაში ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის სასაფუძვლო რეალიზაციები (II)),** რომლებიც ჩვენი საბაკალავრო ნაშრომების (ესენია: **„ზოგიერთი რთული წინადადების მათემატიკური ანალიზი" (ა. მასხარაშვილი), „მათემატიკური მეთოდებით აგებული მართლმწერი ქართული მარტივი წინადადებებისათვის" (ლ. აბზიანიძე))** შედეგების შემდგომი გაღრმავების, ინტეგრირებისა და ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების ამ ეტაპობრივი ამოცანების გადაჭრის მიზნებს ემსახურება.

2. უკვე მომავალი სემესტრიდან მოგვეცეს ჩვენი ხელმძღვანელის ბ-ნ კ. ფხაკაძის კურსებიდან ერთი, ან ორი კურსის არჩევის საშუალება. ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაში არჩევითი კურსების სახით წარდგენილია ბ-ნ კ. ფხაკაძის სამი კურსი (ესენია: **1. ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური და მანქანური დაფუძნების არჩევითი სამაგისტრო კურსი; 2. ლოგიკის, ენისა და გამოთვლების არჩევითი სამაგისტრო კურსი; 3. ლოგიკისა და ენის არჩევითი სამაგისტრო კურსი)**

ამასთან, გთხოვთ, საკითხი გადაწყვიტოთ მათემატიკური თვალსაზრისებით შეუსწავლელობის გამო ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და ბუნებრივი ენების ლოგიკის და მათემატიკური ლინგვისტიკის უკვე დადასტურებული საუნივერსიტეტო აქტუალობის გათვალისწინებით.

თსუ „მათემატიკის" მაგისტრატურის
სტუდენტები:

/ლ. აბზიანიძე/
/ა. მასხარაშვილი/

2008 წლის 3 დეკემბერი.

(ციტატის დასასრული)

(ციტატის დასაწყისი)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ხუბუას

ბატონო რექტორო, მოგმართავთ "მათემატიკის" მაგისტრატურის სტუდენტები ლ. აბზიანიძე და ა. მასხარაშვილი.

ჩვენ ჩვენი საუნივერსიტეტო სწავლების 1 კურსიდანვე ვთანამშრომლობთ თსუ „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი" სემინარისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" ხელმძღვანელთან ბ-ნ კ. ფხაკაძესთან.

თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" კვლევითი მიზნები, ანუ ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და თავისუფლად ურთიერთობადი ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნები და ამ მიზნების პირდაპირი კავშირები ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან იქცა საფუძვლად იმისა, რომ საუნივერსიტეტო რეფორმამდე ჩვენ უკვე გაკეთებული გვქონდა ჩვენი საუნივერსიტეტო სასწავლო არჩევანი ზემოხსენებული მიზნობრივი პროგრამის ზემოხსენებულივე მიზნებით დაფუძნებული **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** სასწავლო მიმართულებაზე.

მოხდა ისე, რომ 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმით **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** მიმართულებით საქართველოში ორმოცდაათწლიანი დაგვიანებით ძლივს დაწყებული სასწავლო პროცესები სრული მოცულობით დაიბლოკა, რაც, **იმის გათვალისწინებით, რომ 2004-2006 წლებში ეს სასწავლო პროცესები ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ნიველირების მიზნებით იყო დაფუძნებული, გასაგებს ხდიდა იმას, რომ ჩვენ არანაირი უფლება იმისა, რომ ამ ვითარებას შევგუებოდით, არ გვქონდა.**

პირველად ამ საკითხის თაობაზე 2006 წლის 24 დეკემბერს მოგმართეთ. იქიდან მოყოლებული ჩვენ და ჩვენი ხელმძღვანელი თქვენთან კონსტრუქციული თანამშრომლობით ვცდილობთ როგორც ჩვენი საუნივერსიტეტო სასწავლო უფლებების დაცვას, ისე 2006 წლის რეფორმისას ქართული ენისადმი დაშვებული იმ საფრთხეშემცველი შეცდომის გასწორებას, რომელზედაც სხვა დროსაც არაერთხელ გვქონია საუბარი.

ამდენად, ის, რომ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა 2008 წლის 7 თებერვალს საკითხის საექსპერტო და სასემინარო განხილვის შედეგად კიდევ ერთხელ დაადასტურა **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** საუნივერსიტეტო აქტუალობა, ზემოაღნიშნული კონსტრუქციული თანამშრომლობის მნიშვნელოვანი შედეგია.

ამასთან, ის, რომ დღემდე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკის და მათემატიკური ლინგვისტიკის აქტუალიზების მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, არის ის, რასაც, ბუნებრივია, ჩვენ უფლება არ გვაქვს შევეგუოთ.

დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ეს სრული უმოქმედობა იყო მიზეზი ჩვენი ა/წ 2 ივნისის მომართვისა, რომლითაც გთხოვდით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაგეჭირათ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული **„მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო მოდულის აღდგენისთვის,** რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემდა შესაბამისად ჩვენივე არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოვყალიბებულიყავით **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის ქართველ სპეციალისტებად** (იხ. დანართი 1).

გარდა ამისა, ა/წ 30 ივნისს შედგა ჩვენი პირადი საუბარი უნივერსიტეტის დერეფანში. საუბარი შეეხო ჩვენი ა/წ 2 და 25 ივნისის (იხ. დანართი 2) მომართვებით წამოჭრილ საკითხებს: თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს საკითხები განხილვის პროცესშია. ითქვა ისიც, რომ უნივერსიტეტი აპირებს მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით სამაგისტრო პროგრამაზე კონკურსის გამოცხადებას. ჩვენს შეკითხვაზე მოესწრებოდა თუ არა ამ საკითხის გადაწყვეტა მიმდინარე წლის სექტემბრამდე, თქვენ დამაიმედებელი პასუხი მოგვეცით.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტმა მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაში **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** მოდულის აღდგენის და/ან **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** სამაგისტრო პროგრამაზე კონკურსის გამოცხადების ნაცვლად (იხ დანართი 3) გამოაცხადა მიღება **„ლინგვისტური ინფორმატიკის“** სამაგისტრო პროგრამაზე.

ივლისის თვეში ეროვნულ აკადემიაში ბ-ნ კ. ფხაკაძის თანდასწრებით ორჯერ შევხვდით აკადემიის პრეზიდენტს ბ-ნ თ. გამყრელიძეს და ორჯერ გვქონდა მასთან თითქმის ერთსაათიანი ღია საუბარი, რის შემდეგაც გასაგები გახდა, რომ ეს სამაგისტრო პროგრამა ჩვენ ვერ მოგვცემდა საშუალებას ჩამოვყალიბებულიყავით **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** სპეციალისტებად, რაც **ლინგვისტური ინფორმატიკის** და **მათემატიკური ლინგვისტიკის** თვისობრივად განსხვავებული დარგობრივი კომპეტენციებიდან გამომდინარე, ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო.

ამგვარად, ამ ყველაფრისა და კიდევ იმის გათვალისწინებით, რომ „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამაში არჩევითი კურსების სახით წარდგენილი იყო ბ-ნ კ. ფხაკაძის სამი სალექციო კურსი (ესენია: **1. ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური და მანქანური დაფუძნების არჩევითი სამაგისტრო კურსი; 2. ლოგიკის, ენისა და გამოთვლების არჩევითი სამაგისტრო კურსი; 3. ლოგიკისა და ენის არჩევითი სამაგისტრო კურსი)** ჩვენ ჩვენი სასწავლო მიზნების შენარჩუნებით მივიღეთ გადაწყვეტილება ჩაგვებარებინა „მათემატიკის“ მაგისტრატურაში.

ამასთან, ბოლო თვეების განმავლობაში ბ-ნ კ. ფხაკაძესთან სისტემატიური არაფორმალური სასემინარო თანამშრომლობის შედეგად ჩვენ უკვე ავირჩიეთ ჩვენ-ჩვენი სამაგისტრო თემები (ესენია: **ქართული ზმნის მათემატიკური ანალიზი და წერით ენაში ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის სასაფუძვლო რეალიზაციები (I), ქართული ზმნის მათემატიკური ანალიზი და წერით ენაში ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის სასაფუძვლო რეალიზაციები (II)),** რომლებიც ჩვენი საბაკალავრო ნაშრომების (ესენია: **„ზოგიერთი რთული წინადადების მათემატიკური ანალიზი” (ა. მასხარაშვილი), „მათემატიკური მეთოდებით აგებული მართლმწერი ქართული მარტივი წინადადებებისათვის” (ლ. აბზიანიძე))** შედეგების შემდგომი გაღრმავების, ინტეგრირებისა და ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების ამ ეტაპობრივი ამოცანების გადაჭრის მიზნებს ემსახურება.

ბატონო რექტორო, გთხოვთ საუნივერსიტეტო საფეხურის მხარდაჭერას ჩვენი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნების განხორციელებაში: ანუ, გთხოვთ მხარდაჭერას იმაში, რომ:

1. მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში უკვე მიმდინარე სემესტრში ოფიციალურად დაგვიმტკიცდეს ჩვენს მიერ უკვე არჩეული სამაგისტრო თემები;
2. ჩვენი ხელმძღვანელის ბ-ნ კ. ფხაკაძის ზემოჩამოთვლილი კურსებიდან ერთი, ან ორი კურსის არჩევის საშუალება მოგვეცეს უკვე მომავალი სემესტრიდან.

ბ-ნო რექტორო, მიზეზი იმისა, რომ ასეთი სამაგისტრო და საფაკულტეტო სპეციფიკების მქონე თხოვნით მოგმართავთ **თქვენ,** არის ბოლო პერიოდში ამ საკითხებისადმი **ბ-ნ რ. ბოჭორიშვილს** არაშესაბამისი დამოკიდებულები: ანუ, მას რომ ემოქმედა **ბუნებრივი ენების ლოგიკის და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობის შესაბამისად** და რომ ეპასუხნა ბ-ნ კ. ფხაკაძის 6 ნოემბრის მიმართვისთვის (იხ. დანართი 4), მაშინ, ბუნებრივია, შიში იმისა, რომ საკითხი დროში გაიჭიმება და რომ მომავალ სემესტრშიც მოგვიწევს ჩვენი სამაგისტრო კვლევითი მიზნებისთვის სრულიად არასაჭირო კურსების ნაძალადევი შესწავლა, არ გვექნებოდა.

პატივისცემით,
თსუ „მათემატიკის“ მაგისტრატურის სტუდენტები
/ლ. აბზიანიძე/
/ა. მასხარაშვილი/
2008 წლის 3 დეკემბერი.

(ციტატის დასასრული)

ამავე საკითხთან დაკავშირებით 2009 წლის 5 თებერვალს მათემატიკის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს განმეორებით შემდეგით მივმართეთ:

(ციტატის დასაწყისი)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს, სრულ პროფესორებს
უ. გოგინავას, დ. გორდეზიანს, თ. ვაშაყმაძეს, თ. თადუმაძეს, ე. ნადარაიას, რ. ომანაძეს

ბ-ნებო, განმეორებით მოგმართავთ ჩვენი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნების, კერძოდ ჩვენი სამაგისტრო თემების თაობაზე (იხ. დანართი 1): ანუ, გთხოვთ, ნუღარ გადადებთ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩვენი სამაგისტრო თემების ოფიციალურად დამტკიცების საკითხს.

მოგახსენებთ, რომ ეს სამაგისტრო თემები, რომლებიც მთელი მოცულობით ბუნებრივი ენების ლოგიკის ფარგლებში ექცევა, ჩვენი საბაკალავრო ნაშრომების შედეგების შემდგომი გაღრმავების, ინტეგრირებისა და ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების ამ ეტაპობრივი ამოცანების გადაჭრის მიზნებს ემსახურება.

მოგახსენებთ იმასაც, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკა (იხ. დანართი 2) არის მათემატიკის ფარგლებში არსებული დღეს მეტად მნიშვნელოვანი და აქტიურად განვითარებადი სამეცნიერო კვლევითი ხაზი (მიმართულება), რომელიც ემსახურება ბუნებრივი ენებისა და ამ ენებით მოცემული აზროვნებითი სისტემების მათემატიკური დაფუძნების მიზნებს.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოში, ქართული ენისა და აზროვნების მონტეგიუსეული მათემატიკური დაფუძნების მიზნით წარმოებულ კვლევებს დასაბამი ბ-ნმა კ. ფხაკაძემ დაუდო და რომ იგი ბუნებრივი ენების ლოგიკის პირველი ქართველი თვითნასწავლი სპეციალისტია. – ეს დასტურდება ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით გასრულები მისი სასაფუძვლო მნიშვნელობის ნაშრომებით და იმ ძვრებით, რაც მისი ინიციატივითა და მის მიერ წარდგენილი პროგრამების საფუძველზე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში განხორციელდა: მხედველობაში გვაქვს ის, რომ ამ ძვრების შედეგად რეფორმამდელ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტში უკვე არსებობდა **მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის** სპეციალიზაცია, რომლის ფარგლებშიც ბ-ნ კ. ფხაკაძე ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაფუძნებულ **ბუნებრივი ენების ლოგიკის** სპეციალიზაციას და რომელიც 2006 წელს ჩვენ უკვე ოფიციალურად

გვქონდა არჩეული ჩვენ სასწავლო საუნივერსიტეტო სპეციალიზაციად. ასევე, მხედველობაში გვაქვს ის, რომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტის 2006 წლის უკვე დამტკიცებულ სამაგისტრო პროგრამაში იგი ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაფუძნებულ **მათემატიკური ლინგვისტიკის** მოდულს.

ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩვენ (ლ. აბზიანიძე (იხ. დანართი 3), ს. მასხარაშვილი (იხ. დანართი 4)) ვართ ქართული კულტურული თვალსაზრისებით ამ მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიმართულების **პირველი დიპლომირებული ბაკალავრები**. თუმცა, ოფიციალურად ჩვენ ჩვენი საბაკალავრო თეზისები ალგებრა-გეომეტრიის მიმართულებით დავიცავით.

გარდა ამისა, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ყოვლად გაუმართლებელია ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების შედეგების ექსპერტირება მოვთხოვოთ ბუნებრივი ენების ლოგიკის უცხოელ სპეციალისტებს: ეს იგივეა, რომ ქართული ენა უცხოელებს ქართველებმა კი არ ვასწავლოთ, არამედ, პირიქით, მათ ვთხოვოთ ქართული ენის ახსნა, განმარტება და აქეთ ჩვენთვის სწავლება!

ბ-ნებო, მოგახსენებთ, რომ ჩვენ ჩვენ ხელმძღვანელთან, ბ-ნ კ. ფხაკაძესთან ერთად მზად ვართ სამეცნიერო და სადისკუსიო ხასიათის სემინარებისათვის, რათა გასაგები გავხადოთ მათემატიკის მიმართულების პროფესურისათვის როგორც ჩვენი საკვლევი მიზნების წმინდა მათემატიკური ხასიათი, ასევე მათი განსაკუთრებული ზოგადქართული კულტურული მნიშვნელობები.

პატივისცემით, თსუ „მათემატიკის“ მაგისტრატურის სტუდენტები:

/ლ. აბზიანიძე/

/ა. მასხარაშვილი/

2009 წლის 4 თებერვალი.

(ციტატის დასასრული)

სამაგისტრო თემებთან დაკავშირებით ჩვენი ამგვარი შეშფოთების მიზეზად იქცა სამაგისტრო დისერტაციაზე **მათემატიკის** სამაგისტრო პროგრამაში არსებული დამატებითი მოთხოვნები, რომელთა ციტირებას ქვემოთ ვაკეთებთ:

(ციტატის დასაწყისი)

სამაგისტრო დისერტაცია

გარდა საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნებისა სამაგისტრო დისერტაციის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი პუნქტებით.

პროფესორის მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემის წარდგენა

- ფაკულტეტის/ინსტიტუტის ნებისმიერი პროფესორი უფლებამოსილია წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომის თემა.
- სამაგისტრო ნაშრომის თემების წარდგენა ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელთან უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ სამაგისტრო თემის არჩევამდე 2 თვით ადრე.
- პროფესორის მიერ წარმოდგენილი თემის სტრუქტურა : სათაური, ტიპი (კვლევითი თუ რეფერატული), მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, პუბლიკაციის შესაძლებელობა და რა დონეზე (კონფერენცია, კრებული, ჟურნალი)
- სამაგისტრო ნაშრომის თემათა ნუსხა დროულად უნდა ეცნობოს სტუდენტებს და განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა და დამტკიცება

- მაგისტრანტი თავისი მომავალი ნაშრომის თემას ირჩევს წარმოდგენილი თემატიკის ნუსხიდან, ანუ თემის არჩევა ხდება პრინციპით: პროფესორი თავაზობს – სტუდენტი ირჩევს.
- სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შესახებ მაგისტრანტი შესაბამისი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის/ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელს.
- როგორც წესი, პროფესორი ერთ სასწავლო წელს ერთ სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს; იმ შემთხვევაში, თუ ერთი თემის შესრულება მოისურვა რამდენიმე მაგისტრანტმა, თემის წარმომდგენი პროფესორი ირჩევს მათგან ერთს.

- სამაგისტრო ნაშრომის თემის განხილვა და დამტკიცება ხდება ინსტიტუტის/ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფაკულტეტის/ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

(ციტატის დასასრული)

ანუ, ამ წესებით, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი (ლ. აბზიანიძე, ს. მასხარაშვილი) ხელმძღვანელი ბ-ნ კ. ფხაკაძე მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში მიწვეული პროფესორის სტატუსით მაინც არ ჩაერთვება საფაკულტეტო სასწავლო პროცესში, მაშინ მას არ ექნება უფლება სამაგისტრო თემის წარდგენისა, ხოლო ჩვენ საშუალება ჩვენს მიერ უკვე არჩეული სამაგისტრო თემების არჩევისა!

ეს კერძო მაგალითი სრული სიცხადით ასაბუთებს, რომ სამაგისტრო სწავლების მეორე სემესტრში წარმოდგენილი არჩევითი კურსების წინასწარგანსაზღვრული 8 არჩევითი კურსით შეზღუდვა ფაქტიურად ფიქტიურს ხდის სამაგისტრო პროგრამაში არსებულ დანარჩენ არჩევით კურსებს და მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს!

ასეთ შემთხვევაში, ის შესაძლო ხისტი პოზიცია, თითქოსდა დაუშვებელი იყოს უკვე დამტკიცებულ სამაგისტრო პროგრამაში რაიმეგვარი ცვლილებების შეტანა, ჩვენი მხრიდან ბათილდება ზემოაღნიშნულით. – ანუ, ამგვარ შემთხვევებში სახელმწიფოებისა და ქვეყნების კონსტიტუციებში შედის ცვლილებები, არა თუ სამაგისტრო პროგრამებში, რომელთა ერთადერთი დანიშნულება მაგისტრის აღზრდაა, რაც, ბუნებრივია, მაგისტრანტის სამაგისტრო კვლევითი მიზნების გაუთვალისწინებლად ვერ მოხერხდება!

2009 წელი,
16 თებერვალი.

მომართვას დანართის სახით თან ვურთავთ თსუ რექტორისადმი თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ასოც. პროფ. ირინე დარჩიას მიერ გაკეთებულ მოხსენებით ბარათს მასზედ თანრთული მასალებითურთ (დანართი 1) და თსუ რექტორის 2008 წლის 15 თბერვლის მიმართვას ბ-ნ. რ. ბოჭორიშვილისადმი მასზედ თანრთული მასალითურთ (დანართი 2).

დანართი 1

13978

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფ. გიორგი ხუბუას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
ასოც. პროფ. ირინე დარჩიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2008 წლის ივლისში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში რამდენიმე წერილი შემოვიდა მათემატიკურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებით (წერილები: № 10238/02, 9756/02, 10125/02, 10287/02, 10658/02). განმცხადებლები, კერძოდ, თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები და ამავე ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი კ. ფხაკაძე ითხოვდნენ მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის ან დამოუკიდებელი სამაგისტრო პროგრამის, აგრეთვე ამ მიმართულების საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებას.
მოგახსენებთ, რომ თქვენი მითითების შესაბამისად, ორჯერ შევხვდი განმცხადებლებს და მათ ვაცნობე, რომ საბაკალავრო სპეციალობების ჩამონათვალი საქართველოში რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის № 633 ბრძანებით, ე. წ. კლასიფიკატორით. ვინაიდან მათემატიკური ლინგვისტიკა ამ ჩამონათვალში მითითებული არ არის, სამინისტროდან სპეციალური ნებართვის მოპოვების გარეშე თსუ ვერ აამოქმედებს მათემატიკური ლინგვისტიკის საბაკალავრო პროგრამას.
განმცხადებლებს ვაცნობე აგრეთვე, რომ მოწვეულ პროფესორს, ბატონ კ. ფხაკაძეს აქვს უფლება მოამზადოს მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მომზადებულ და წარმოდგენილ უნდა იქნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში თსუ აკადემიური საბჭოს № 28 დადგენილების შესაბამისად, ხოლო საბოლოო დასკვნას მისი ამოქმედების შესახებ მიიღებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

დაბოლოს, დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ, ვფიქრობ, 2008-2009 წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს მათემატიკოსების, კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების საუნივერსიტეტო სამუშაო შეხვედრა-კონფერენცია, რომელზეც საფუძვლიანად უნდა ვიმსჯელოთ მათემატიკური თუ კომპიუტერული ლინგვისტიკის მომავალზე (საბაკალავრო მოდულზე, ინტერდისციპლინურ და ინტერფაკულტატურ სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებზე), რასაც – გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას – ძალიან დიდი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება.
თქვენი თანხმობის შემთხვევაში, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მზადაა ორგანიზება გაუწიოს მათემატიკურ / კომპიუტერულ ლინგვისტიკასთან დაკავშირებულ ინტერდისციპლინურ სამუშაო შეხვედრა-კონფერენციას.

პატივისცემით

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ასოც. პროფ. ირინე დარჩია

04. 08. 08

დანართი 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

ბ-ნ ა. ბურჭულაძეს,
შეატყობინეთ ბ-ნ ვ. ხაჩიძეს, რომ მოამზადოს
ჯ. თამაზაშვილთან შეხვედრა
ვადა.

15.02.2008 გ. ხუბუა

დოკუმენტი № 2687 /02 მოხსენებითი ბარათი

პროგრამა "კომპიუტერის სრული პროგრამულ–მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში"

რეზოლუცია: _____

_____

_____

_____

_____

თსუ, ბბუ, შ.№ 195, ტ.1000, 2007წ.

ავახიშვილის სახელობის
ელმწიფო უნივერსიტეტის
ოფესორ გიორგი ხუბუას

სამეცნიერო კვლევებისა
ს დეპარტამენტის უფროს
იაგორ კალანდაძის

კავშირებით (24.12.2007წ)
დეპარტამენტში მოეწყო
არმოდგენილი 8 ნაბეჭდი
როგრამა "კომპიუტერის
ივ ქართულ ენობრივ

დით მოეწყო შეხვედრა
ესწრებოდნენ: თბილისის
ბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
. ხაჩიძე, კ. გელაშვილი,
ალისტები, გ. შაბაშვილი
ოგიების დეპარტამენტის
ეული სპეციალისტები:
გბაია, ფილოლოგიურ
ილი იქნა წერილობითი

წეობისადმი მკვეთრად
რ გამოთქმული იქნა
და ბუნებრივ ენათა
ვილებლობის შესახებ.

ინფორმაციო-პრაქტიკულ
დროვე მათემატიკური
ლოგიკის აქტუალური საკითხები", რომელიც ჩატარდა ა.წ. 7 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში. სემინარს ესწრებოდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების წამყვანი აკადემიური პერსონალი: ო. ფურთუხია, დ. გორდეზიანი, დ. ჯაიანი, გ. ბარელაძე, კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებიდან ჯ. ანთიძე, ასევე არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. მათ მიერ ასევე მხარდაჭერილი იქნა მათემატიკის ამ აქტუალური მიმართულების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში უფრო ვრცლად წარმოდგენის აუცილებლობა.

ბატონო გიორგი, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების

№ 2687/02 ტ. 13
15 02 2008 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას

ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა
და განვითარების დეპარტამენტის უფროს
იაგორ კალანდაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

ბატონ კ. ფხაკაძის წერილში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით (24.12.2007წ) გაცნობებთ, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში მოეწყო შეხვედრა კ. ფხაკაძესთან, რომლის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი 8 ნაბეჭდი გამოცემა აღნიშნულ თემატიკაზე, ასევე მიზნობრივი პროგრამა "კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" .

საკითხის დეტალური განხილვისათვის დეპარტამენტის ეგიდით მოეწყო შეხვედრა დარგის აღიარებული სპეციალისტებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორები მ. ხაჩიძე, კ. გელაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის სპეციალისტები, გ. შაბაშვილი და ნ. გაფრინდაშვილი, თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ლინგვისტი ო. კაპანაძე; მოწვეული სპეციალისტები: ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ლ. ეზუგბაია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი კ. გაბუნია. მათ მიერ წარმოდგენილი იქნა წერილობითი დასკვნები (თან ერთვის).

მიუხედავად ბატონ კ. ფხაკაძის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მკვეთრად არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, ექსპერტების მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება უნივერსიტეტში მათემატიკური ლინგვისტიკის და ბუნებრივ ენათა ლოგიკის უფრო ფართო სასწავლო კურსით წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ.

ზემოთქმული მოსაზრება გაზიარებული იქნა ფართო საინფორმაციო-პრაქტიკულ სემინარზე "ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლონგვისტიკის აქტუალური საკითხები", რომელიც ჩატარდა ა.წ. 7 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში. სემინარს ესწრებოდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების წამყვანი აკადემიური პერსონალი: ო. ფურთუხია, დ. გორდეზიანი, დ. ჯაიანი, გ. ბარელაძე, კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებიდან ჯ. ანთიძე, ასევე არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. მათ მიერ ასევე მხარდაჭერილი იქნა მათემატიკის ამ აქტუალური მიმართულების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში უფრო ვრცლად წარმოდგენის აუცილებლობა.

ბატონო გიორგი, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების

№ 2687/02
15 02 2008 წ.
13

...ი, ხარისხის მართვის ცენტრალური და საფაკულტეტო სამსახურისა
...ონწვეული სპეციალიტები, რომლებიც პრაქტიკულ ორგანიზებას გაუწევენ
...და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის
...ულებით მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალიზაციით ბაკალავრიატის
... მაგისტრატურის ეტაპზე შესაბამისი დისციპლინის დანერგვას, ასევე
...ულტეტისათვის (მათემატიკის მიმართულებისათვის) მისაღები ფორმატით
...სწავლო-სამეცნიერო პროცესებში ინტეგრაციას.

პატივისცემით,

ი. კალანდაძე